№ 201. კვირა, 18 მაისი.

1896—1897

კვირა, 18 მაისი, № 201.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21) და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

„შუამავალი“

ალებ-მიცემის მაღაზიამ მიიღო ახლად: ყველი „ბრუსო“ კობიდგან და აგრეთვე ჩაი ვისოცკისა და გოცისა, გამოწერილი მოსკოვიდგან.

კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № $^6/_1$.

(5—2).

მაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ
ვისაც ჰსურს შეისწავლოს აბრეშუმეულობისა, შალეულობისა, ნოხ-ხალიჩებისა და სხვა და სხვა გვარ მატერიების
ქსოვა ხელოვნურად, ფაბრიკულად,
(მატერიები კეთდება ჩვენებურ აქვე მოწეულ დამზადებულ ძაფებისაგან)
მიჰმართონ ახალს
ამხანაგობას მეაბრეშუმეობისა და მეფეიქრობისას
ქ. ქუთაისში.

ამხანაგობის სახელოსნოში იმყოფება კარგი ოსტატი—ფეიქარი მოსკოვიდან, მისიე შუსტინ, რომელმაც მოაწყო აბრეშუმეულის ქსოვის საქმე ბათომის სახელოსნო სასწავლებელში.

გამგე ამხანაგობისა არტემ ვახტანგის ძე ანჯაფარიძე.

(10—5)



ტელეფონი № 346

ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, დოლის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმოსათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—53 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
✦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✦
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ану Очемчиры, Теймуразу Чачава.
(300—100)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრუტსკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრუტსკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**

(წ.)

კბილის ექიმი
ვ. ი. ჰიჰინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21
„ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ახალი ამბავი

⁂ **ქალაქის დღევანდელი არჩევანები.** აგერ ეს თორმეტი წელიწადია, რაც ქართველი საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ქალაქის არჩევანებს და ყოველთვის მოწმედ ხდება უსამართლობისა დროება ცოტ-ცოტად შეიცვალა, ქართველმა საზოგადოებამ თვალები გაახილა და მოინდომა თავისს კანონიერი კერძის სრული უფლება. რა რიგი შედეგიც უნდა ჰქონდეს დღევანდელს არჩევანებს, იგი ყოველ შემთხვევაში ჩვენის საზოგადოების სასიკეთოა.

⁂ **ჩვენს პროვინციელ თანამშრომლებს.** ჩვენს რედაქციას მოვალეობად მიაჩნია, მადლობა უძღვნას თავისს უანგარო თანაშრომლებს სხვა-და-სხვა პროვინციებში. ამ დაუღალავმა მუშაკებმა, გაბნეულებმა საქართველოს სხვა-და-სხვა მივარდნილ ადგილებში, დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს ნორჩს და ჯერეთ პროგრამით შევიწროებულს გამოცემას, მათ შეაძლებინეს „ცნ. ფურცელს“ მკვირცხლად ედევნებინა თვალ-ყური ყველაფრისთვის, რაც-კი ხდება ჩვენის ქვეყნის დაბა-სოფლებში.

სრული იმედი გვაქვს, რომ მომავალშიაც ეს პატივცემულნი მუშაკნი არ მოაკლებენ ყურადღებას იმ გაზეთს, რომელსაც ისინი ასე შეუსისხლხორცდნენ. ჩვენი გაზეთი მუდამ სტუმართ-მოყვარეობის კარს გაუღებს პროვინციის საჭირ-ბოროტო საკითხებს. ჩვენ გვითქვამს და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენის ქვეყნის ძალა და ღონე პროვინცია, დაბა-სოფელია. ქალაქებში, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენ ძალა ნაკლები გვაქვს. თუმცა ესრედ წოდებულს ინტელიგენციას, უმაღლესის და საშუალო კოველ-გვარის ცოდნით აღჭურვილი პირთ-კი უფრო ქალაქებში მოუყრიათ თავი.

პროვინციის დიდის მნიშვნელობის მიხედვით, იმ ფიქრით, რომ იქ მცხოვრებნი მთლად ქართველნი არიან და მაშასადამე მათ შორის ყოველი ნამდვილი ქართული საზოგადო საქმე მეტს თანაგრძნობას იპოვის,—უნდა ალვიაროთ, რომ პროვინციის ინტელიგენციას მეტი სიმხნე ჰმართებთ, ვიდრე ახლა იჩენენ. დღევანდელი ფიქრი და მისწრაფება უმრავლესთა პროვინციელთა მოღვაწეთა მიქცეულია სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების დაარსებაზედ. დიახაც საპატიო და საქებურია ეს მოღვაწეობა. მაგრამ ეს არ კმარა.

დრო არის ჩვენმა თანამშრომლებმა გააფართოვონ წრე თავიანთის მოღვაწეობისა.

კითხვასთან და სწავლა-განათლებასთან უნდა ვზრუნავდეთ შევქმნათ საქმენიც, სადაც ნაკითხმა და ნასწავლმა თავი უნდა შეაფაროს და თავის განწრთვნილი გონება და ხელი ამუშაოს ქვეყნისა და თავის თავის სასარგებლოდ. თორემ უბედურია სანახავადაც-კი ნასწავლი კაცი უსაქმო! მისი უბედურება ორკეცია სწავლისა გამო და ისეთს კაცს, რომ სწავლა არც-კი მიეღო,—ბევრით უმჯობესი იქნებოდა.

აკი მოგახსენეთ ამიტომ, რომ ჩვენ სწავლისა და ცოდნის გავრცელებასთან ერთად უნდა ვცდილობდეთ, შევქმნათ საქმე ინტელიგენციისთვის.

რა გვარი საქმეები შეიძლება დაიწყოს ჩვენმა დაბა-სოფლებმა და როგორი? ეს საკითხი რთულია და მისს საპასუხოდ ბევრი რამ ითქმის.

აი ამ საკითხის საპასუხოდ ვიწვევთ ჩვენს პატივცემულ თანაშრომლებს პროვინციებიდამ.

ჩვენდა თავათ მივაქცევთ მათს განათლებულს ყურადღებას ჩვენს წერილებს „ცნობის ფურცელში“ სათაურით „სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობები“, ვისწრაფით გავიგოთ, თანაგვიგრძნობენ ამ აზრების განხორციელებაში თუ არა. უკეთუ თანაგვიგრძნობენ, როდის და რა გზით სიტყვიდამ გადავიდეთ საქმეზედ. ველით პასუხებს: გორიდამ, თელავიდამ, სიღნაღიდამ, ველისციხიდამ, სურამიდამ, ცხინვალიდამ, ყვირილიდამ, ქუთაისიდამ, ოზურგეთიდამ, ზუგდიდიდამ, ბათუმიდამ, სურამიდამ, ნიგოითიდამ, ლანჩხუთიდამ, სენაკიდამ, აბაშიდამ, ჩოხატაურიდამ, ფოთიდამ, სამტრედიიდამ, სუფსიდამ, ართვინიდამ, ხონიდამ, ონიდამ, საგარეჯოდამ, ხაშმიდამ და სხვ.

ამ პასუხებს ჩვენ დიდის სიამოვნებით მოვისმენთ და დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

⁂ **ქალაქის არჩევანების გამო.** დღეს, სანამ არჩევანები არ გათავდება, არავითარი ბაასი და თათბირი არ იქმნება. ვისაც ჰსურს ხმოსნობაზე კენჭი იყაროს, დღეს შეუძლიან სიტყვიერად გამოაცხადოს ეგ თავისი სურვილი.

⁂ **ქალაქის არჩევანების გამო.** 16 მაისამდე ქალაქის გამგეობას სულ 1050 ბარათი გაუცია არჩევანებზე დასასწრებლად.

⁂ **კავკასიის საკომერციო ბანკის დაარსების გამო ქ. პეტერბურგში.** ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება რამდენიმე კავკასიელი სოვდაგარი, რომელთაც სატახტო ქალაქის სოვდაგრებთანა აქვთ მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ პეტერბურგში დაარსდეს კავკასიის საკომერციო ბანკი იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით რუსე-

ის ვაჭართა და მწარმოებელთ აღმოუჩინოს ხოლმე ნივთიერი (სესხით) დახმარება კავკასიის ბუნების სიმდიდრის წარმოების საქმეში. ძირის თანხა ამ ბანკისა უნდა იქმნეს ორი მილიონი ექვსასი ათასი მანათი.

⁂ **ქალაქთა სასარგებლოდ ახალი ბაჟი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე შეუდგენია იმ წეს-დებულების გეგმა, თუ რა სახით უნდა გაეწეროს ბაჟი ძაღლებზე ქალაქების სასარგებლოდ. ამ გეგმას მოკლე ხანში განიხილავს სახელმწიფო საბჭო.

⁂ **მიწების გამიჯვნა ქუთაისის გუბერნიაში.** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მიწის მზომელები (топографы), მთავრობის განკარგულებით უკვე გაემგზავრნენ ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სოფლებში მიწების გასამიჯვნელად.

⁂ **თავხედური საქციელი გაზ. „ნოვ. ობოზ.“** სწერენ დ. ოჩამჩირიდამ შემდეგს უმართებულო საქციელს ერთის პოლიციის მოხელისას; ადგილობრივი ვაჭარი ფარნაოზ დავითაია, თურმე, ქუჩაზე მიდიოდა, 6 მაისს; გზაზე შეხვდა პოლიციის მოხელე ვიღაც მანდილოსანითურთ; დავითაიამ ქუდი არ მოუხადა მოხელეს; ეს ამ უკანასკნელმა შეურაცხყოფად მიიღო და მოციქული გაუგზავნა—მეორედ არ გაბედო ასეთი „უზრდელობაო, თორემ აქედამ გადაგასახლებო; რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ მიჰმართეს დავითაიას მოხელისაგან გამოგზავნილმა ყაზახ-რუსებმა, იმავე მუქარათი. დავითაიამ უთხრა მოციქულებს, რომ მას ძლიერ კარგად ესმის თავისი მოვალეობაცა და უფლებაც. ათი წამის შემდეგ თვითონა შეურაცხყოფილი მოხელე მოიჭრა დავითაისთან, დაუწყო მას ლანძღვა, გინება და მუქარა. დავითაიამ ბევრი ეცადა დაემშვიდებია გაცხარებული მოხელე და აეხსნა მისთვის, რომ იგი სრულებით არ არის მოვალე მაინც ქუდი მოუხადოს პოლიციის მოხელეს. ასეთმა საუბარმა მოხელე უფრო გააცხარა და უბრძანა თავის მხლებლებს, ძალით მოეხადათ ქუდი დავითაიასათვის და დაეტუსაღებიათ. დავითაია მართლაც დაატუსაღეს და ქვეითად დარაჯის ქვეშ გაგზავნეს ოჩამჩირედამ ქ. სოხუმში ოლქის უფროსთან. (ოჩამჩირედამ სოხუმამდე 50 ვერსია) სოხუმში დავითაია მისვლისთანავე გაანთავისუფლეს. სამართალიც ამას ჰქვიან!!...

ტყუილ უბრალოდ დასჯილმა ვაჭარმა იმ დღესვე დეპეშა გაუგზავნა გუბერნიის უფროსს და სთხოვა გამოძიების დანიშვნა.

⁂ **შეუბრალებელი მევახშე.** ამ მოკლე ხანში ტფილისის ერთი მხოვრების მეუღლის ნატალია პოტაპოვისას გამოუცხადებია ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალ-მდებლისათვის, რომ მეორე გილდის ვაჭარი ძ. გ. ხ—ბოვი, რომლისგანაც მან ფული ისესხა და თავისი სახლი გირაოდ მისცა, მეტის მეტს დიდსა და უკანონო სარგებელს მახდევინებს და ლამის გამადარტაკოსო. ბრალ-მდებელს ამ საქმის გამოძიება პოლიციისათვის დაუვალებია, რომელსაც აღმოუჩენია, რომ ხ—ბოვს მართლაც ხელობად ჰქონია მევახშეობა და მისის მეოხებით ბევრნი ისეთ ნაირად დავალიანებულან, რომ თითქმის ულუკმა-პუროთ დარჩენილან. ხ—მბა, რასაკვირველია, თავისი დანაშაული არ აღიარა. პოლიცია მალე გაათავებს გამოძიებას და წარუდგენს ბ. ბრალ-მდებელს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ხ—ბოვი, როგორც სხვა ყველა, მევახშენი ჯეროვანს სასჯელს ვერ ასცდება.

⁂ **დასაბეჭდი წიგნი.** ამ დღეებში „ცნობის ფურცელში“ ბათუმიდან წერილი იყო დაბეჭდილი, რითაც დამწერი ქართველ მაჰმადიანებისთვის შესაფერ წიგნების ბეჭდვას და ქედაში (აჭარა) გაგზავნას თხოულობს. ამ თხოვნის გამო მე უნდა გამოვაცხადო შემდეგი.

მე მაქვს დაწვრილებით აღწერილი შემდეგი ადგილები და სოფლები: ქობულეთი, ანუ კინტრიშის ხეობები თავისის სოფლებითა და ხალხით, აღწერა ზოგი 1891 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა, ზოგიც ცალკე. აჭარის ხეობების, სოფლების, ხალხისა და ნაშთების უმეტესი აღწერა „ივერიაში“ დაიბეჭდა. აწერილი მაქვს მაჭახელი, ლივანა, მურღული, ზეგანი, მირატის ხეობა და სხვები, რაც ზემოხსენებულ გაზეთში იბეჭდებოდა.

მოგზაურობის დროს შევკრიბე მასალები დასავლეთ საქართველოს ქართველების გათათრების ისტორიის შესახებ ზეპირ ამბებით, თუ როგორ ათათრებდნენ ქართველებს. ამ მასალების ზოგი ნაწილი „ივერია“-ში დაიბეჭდა და ზოგიც ამ ზაფხულს დაიბეჭდება.

დაუბეჭდავი მაქვს შემდეგი: „შავშეთი და იმერხევი“, ისტორიული, ეტნოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა. ამ წერილიდან იხელმძღვანელა ბ-ნმა შიო დავითაშვილმა, რუსულს ენაზე წერილი დასწერა ხსენებულ ადგილებთა შესახებ და დაჰბეჭდა კიდეც. ქართული-კი დაუბეჭდავია და ინახება „კვალის“ რედაქციაში. იქნება დაიბეჭდოს.

აღწერილი მაქვს და დაუბეჭდავია შემდეგი: დასავლეთ საქართველო,—საფარ-ფაშა ჯაყელი, კარას გათათრება, ოლთისის, ერუშეთის, არდანუჯის, ლაზისტანის, აჭარის, ხახულის ხეობის, იშხნის, პარხალის, კახაბრის და ქობულეთის, ლივანის, კლარჯეთის, სამცხის, ვიდრე ტასისკარამდე და ქობულეთამდე. ქართული ენის მოსპობა ერუშეთში, შავშეთში, არდანუჯისაკენ, კარსკენ, ოლთისს და არსიანის მთის კალთებზე.

აღწერილია სხალტის ეკკლესია, ტბეთის, ოპიზის, ხახულის, იშხნის, პარხალის, პეტრულის, თორთომის, ნინოწმინდის და ზოგიც სხვა ძველი გაუქმებული და ჯამეებად გადაკეთებული ეკკლესიები. ამ ეკკლესიებთა აღწერაში მოთავსებულია იმ ეკკლესიებთა აღწერაც, რომელი ეკკლესიებიც ჟამთა ვითარების მეოხებით და ოსმალთა სისასტიკისაგან დედამიწის პირისაგან აღგვილან; მაგალითებრ, როგორც ანჩის, ვანის, ევფრატის, მარადიდის, ხულოსი და სხვები.

მოთავსებულია აგრეთვე, თუ პირველად მუსლიმანობა რომელ ხეობამ მიიღო, რომელ სოფელმა, რომელ დიდებულთაგანმა და მცირებულმა. ქართველებში ვინ იყვნენ გათათრების თანამომხრენი—როგორ ხოცავდნენ ოსმალნი ქართველთ, რა წვალებითა და ტანჯვით ავრცელებდნენ მუსლიმანობას.

ართვინის ხიდთან 3000 ქართველის მოკვლა ერთ დღეს; მარადიდთან 120 კაცის ჭოროხში დარჩობა ოსმალთაგან. ჩემი ქართველი ქრისტიანები.—ეკკლესიების მაგიერ ჯამეების აგება, ქართველი მოლა-ხოჯების გამოწრთვნა, თათრული ანბანის და ენის გავრცელება ქართველ მაჰმადიანებში—ქართველთ სიძულვარე. ქართულის მწიგნობრობის მოსპობა.

ქართველი ბეგები, აღიები, ათაბაგნი, ამათის გვარის წარმომადგენელნი, უკანასკნელი ხანა ამათის გვარისა.—აბდულ აღა ხიმშიაშვილის გაძალევნება—ამისი შვილი სელიმი ხდება ფაშათ. შემდეგ ემხრობა გურიელებს—სულთან სელიმის ბრძანებით თავი მოსჭრეს ხირსატის ციხეში.—ამისი შვილი ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი ახალციხეში და მერე არზრუმში. ახმედის შვილის-შვილები და შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც გაქრისტიანდა.—ქართველი ფაშები თუ ამ 300 წლის განმავლობაში სად სცხოვრებდნენ, დღეს სად სცხოვრებენ ოსმალეთში და რა თანამდებობა უკავიათ.

ქართველთ გვარის მოლები, ხოჯები, მუფთი, სუნუთები და შეხ ისლამიც-კი; ჯამეების აშენება—სად აშენდა პირველად ჯამეები, მედრესეები—ქართველი მაჰმადიანთა შვილების გზავნა სტამბოლისა და სხვა ქალაქების სასწავლებლებში, იქ ქართული ენის დავიწყება. წინანდელი და ახლანდელი წეს-წყობილება ხალხისა, სასამართლოები; მეჯლისი, ყადები—ქალები, კაცები, მათი ტანთსაცმელი, წეს-ჩვეულება, ქართული ენა, სიმღერა, ტირილი, სახალხო მელექსეები, ძველებური ამბები, მოსავალი, პური, სიმინდი, ხილი, პირუტყვი, მცენარეები, მწერები, მთები, მადნები, წყაროები,—ფანატიზმი—ქართული წიგნები და ბათუმის სკოლა.

ქართველი ბეგები, აღები, ხალხი და მათი რიცხვი ოსმალეთში და საქართველოში. ოსმალეთში გადასახლებულთა მდგომარეობა, [illegible] ადგილებში სცხოვრებენ და ქართული ენა სად მოისპო სხვათა ზედ-გავლენის მეოხებით და სად დაშთა. მათი და სასულიერო წოდების აზრი რუსეთისა და ქართველების შესახებ და ზოგიერთა მოლა-ხოჯების ქადაგებანი.

ყველა ეს მასალები რომ ერთად შეიკრიბოს და გამოიცეს, მე მგონია, რომ მეტი არ იქმნება, ეს ბევრსაც უთხოვენია. იგი გამოვა ვრცელ ტომად 700—800 გვერდამდის.

ამ ჯერათ მე ვაპირებ გამოვსცე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ქართველთა გათათრების ისტორია, რასაც ხშირად ითხოვენ ხოლმე თვით ქრისტიანი ქართველნიც. ამ ისტორიაში აღწერილია საფერ ფაშა ჯაყელიც, რომელიც პირველად გათათრდა და რომელმაც საფუძველი დაუდო გათათრებას და 200 წლის განმავლობაში გაათათრეს ის პერიდამ მოყოლებული ტასის-კარამდე და ქობულეთამდე.

ზ. ჭ.

⁂ **ლექსიკონების საჭიროება.** კარგა ხანია, რაც ბ-ნ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი გასასყიდად აღარ მოიპოვება. ლექსიკონების მოთხოვნილება თან-და თან იზრდება ჩვენს საზოგადოებაში; ანბანის მცოდნედგან დაწყებული „ნასწავლამდის“ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს იგი, რადგანაც ერთს ეხმარება წიგნის კითხვაში და მეორეს რომელისამე წიგნის თარგმნის დროს... ამ ოთხოვნილებას აქამდისაც უნდა მიქცეოდა ყურადღება, მაგრამ ყოველთვის „ქართველური“, ჩვენებური დაუდევნელობა გვდევდა თან და ახლაც ამავე სენით ვართ შეპყრობილნი ჩვენდა საზარალოდ.

ამ ჟამად-კი, როგორც „ცნობის ფურცლის 198-№-რი ამბობს, ბ. შიო დავითაშვილს განუზრახავს ქართულ-რუსულ ლექსიკონის შედგენა-გამოცემა საზოგადოების დახმარებით. გამოცემას ჰფიქრობს ექვს მანათად, რომელიც დიდს ფასს შეადგენს ჩვენის ხალხის ჯიბისთვის.

ჩვენის აზრით, რომ, ლექსიკონის გამოცემას ჩქარა ვეღირსნეთ, ამასთანავე ხელ-მისაწვდენი იყოს და ხალხშიაც გავიდეს, უმჯობესი იქმნება გამოიცეს ჩუბინაშვილის ლექსიკონი (მოგეხსენებათ ავტორიტეტიც დიდს რასმეს ნიშნავს), მხოლოდ საჭიროა მისი შევსება-შესწორება. კარგი იქნება, რომ ამ წიგნის გამოცემა იკისროს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ და შევსება-შესწორება მიანდოს თვისგანვე ამორჩეულ კომისიას, თორემ კერძო პირი ვერ შესძლებს ამ დიადი შრომის შესრულებას (?) ამასთანავე იმედია, „წ. კ. გ. საზ.“ უფ-

---

სასარგებლო ცნობა.

(მოწერილი ქ. ხარკოვიდგან).

ფაკულტეტის ამორჩევა და უნივერსიტეტის კურსის გავლა.

(პროფესსორის კარეევის წიგნის გამო).

ყოველ წლიწადს ასობით და თითქმის ათასობითაც ათავებენ კურსს გიმნაზიებში ახალგაზდა მოსწავლეები და მათი უმრავლესი ნაწილი შედის უნივერსიტეტში.—იმათ, რასაკვირველია, უნდა ამოარჩიონ ერთი ან მეორე ფაკულტეტი. ამასობაში უმრავლესობამ არც-კი იცის თუ რა და რა საგნებს კითხულობენ ამა თუ იმ ფაკულტეტზედ, რაში მდგომარეობს უნივერსიტეტში მეცადინეობა, რა შეუძლია და რა უნდა მოგვცეს უნივერსიტეტმა და სხვა ამ ვარები. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ ყმაწვილებზედ, რომლებიც ათავებენ კურსს გიმნაზიებში რომელსამე არასაუნივერსიტეტო, მიყრუებულ გუბერნიის ან მაზრის, ქალაქებში. უფ. კარეევის წიგნს, რომელიც გამოიცა წარსულ თვეში შემდეგი სათაურით: „ფაკულტეტის ამორჩევა და უნივერსიტეტის კურსის გავლა („Выборъ факультста и прохожденіе университетскаго курса СПБ. 1897 г. 167 стр. п. 50 коп), აქვს მიზნად—დაეხმაროს გიმნაზიის უფროს კლასების მოწაფეებს იმის გარდაწყვეტაში, თუ რომელ ფაკულტეტზედ შევიდეს,—დაეხმაროს როგორც იმათ, აგრეთვე ახალ სტუდენტებსაც იმის გამორკვევაში, თუ რომელი ფაკულტეტი აჯობინონ და ამოირჩიონ და როგორ მოეპყრან უნივერსიტეტის კურსს ბ. პროფესსორი თავისს წიგნში გვაცნობებს უნივერსიტეტში ფაკულტეტებად დაყოფას, გვიხატავს თვითეულის საზოგადო ხასიათს, ჩამოსთვლის მეცნიერებს და გვიჩვენებს, თუ რომელი მეცნიერება რა ფაკულტეტზედ გადის, აღნიშნავს მათს საგანს მნიშვნელობას და სხვა... მაგრამ ბ. კარეევის წიგნს მარტო იმათთვის-კი არ აქვს მნიშვნელობა, რომელნიც ათავებენ გიმნაზიას და რჩევაში არიან, თუ რომელ ფაკულტეტზედ შევიდნენ, არამედ ამ წიგნს შეუძლია მოუტანოს დიდი სარგებლობა სტუდენტებსაც, რადგან აქ არის მოყვანილი უნივერსიტეტის კურსის გავლაზედ, ლექციებზედ და პრაქტიკულ მეცადინობებზედ, მათს მნიშვნელობაზედ, ფაკულტეტის შემწეობით განათლებაზედ, სტუდენტების მეცნიერულ თვით-მოქმედებაზედ, მათს დამოკიდებულებაზედ მეცნიერებასთან, პროფესსორებთა და სხვა.

ამგვარად კარეევი ეხება ბევრ საზოგადო კითხვებს უნივერსიტეტის ცხოვრებისას; ხან და ხან გვიჩვენებს მის ზოგიერთ ნაკლულევანებას. როგორი უნდა იყოს რიგიანი და ნორმალური დამოკიდებულება სტუდენტისა ლექციებთან, პრაქტიკულ მეცადინეობასთან და წიგნების კითხვასთან, აი ამაებზედ, ვიმეორებთ, ამბობს ბ. კარეევი თავის წიგნში.

წიგნის თან-დართულში და დამატებებში არის მოკლე წერილები: „რაში მდგომარეობს ჰუმანიური განათლება“, „ისტორიის სხვა საგნებთან დამოკიდებულებაზედ“ და აგრეთვე შენიშვნა „აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ“.

სასურველია, წაიკითხონ ეს წიგნი ჩვენმა გიმნაზიებში კურს დამთავრებულ ახალგაზდა მოსწავლეებმა, მინამ რომელსამე ფაკულტეტს ამოირჩევდნენ, რადგან ამ წიგნს შეუძლია არა მცირე სარგებლობა მოუტანოს მათ ამ მხრივ.

ამასთანავე ჩვენ მივცემთ ჩვენ თავს ნებას გამოვსთქვათ ჩვენი სურვილი და რჩევა იმ ახალგაზდა გიმნაზიის კურს დამთავრებულთ ქართველთა მიმართ, რომელნიც დააპირებენ უნივერსიტეტში შესვლას. საზოგადოდ, როდესაც ქართველი მოსწავლე ათავებს გიმნაზიას და სურს მას განაგრძოს სწავლა რომელსამე უმაღლესს სასწავლებელში ფიქრობს მიიღოს იმისთანა უმაღლესი სწავლა განათლება, რომელიც მისის აზრით ცხოვრებაშიაც უფრო გამოსადეგი არის; ფიქრობს, ესა და ეს ცოდნა უფრო უზრუნველ მყოფელია, ამა და ამ სწავლით უფრო შემიძლია საზოგადოებას და სამშობლოს ვემსახურო და სხვა. ზოგი ასედაც ფიქრობს თავისის ქონებრივის დამოკიდებულებისა გამო: შევალ ამა და ამ ფაკულტეტზედ, გავათავებ და მერმე თავისუფალი, არავისგან დამოკიდებული ვიცხოვრებ და ვიმუშავებ სადაც და როგორც მინდაო. ზოგი მშობლების თუ მოკეთეების რჩევით იკვლევს გზას, ზოგი-კი, მცირე ნაწილი, რასაკვირველია, როცა შედის რომელსამე ფაკულტეტზედ, ხელმძღვანელობს მოწოდებით (призваніемъ) ან, უკეთ რომ ვსთქვათ, იმ საგნით, რომელიც სხვა საგნებზედ უკეთ იცის, ან მოსწონს იმავე საგნის მასწავლებლის გამო. ამის თქმას ვბედავ, ძნელია და იშვიათია გიმნაზ ვის მოწოდების შეტყობა. რდეთ ეხლა იმას, თუ რა ტეტებს უფრო ეტანებიან ჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო იაფად გამოსცემს (არც იზარალებს), ვინემც სხვა კერძო გამომცემელი.

შიო დავითაშვილი იმ აზრისაა, რომ ენციკლოპედიურის ლექსიკონის გამოცემა ქართულს ენაზედ სრულიად საჭირო არ არის და მოუხერხებელიცაა (?) (იხ. „ცნ. ფ." № 198). არ ვიცით რა საფუძველი ჰქონდა ბ. შიო დავითაშვილს, როცა ამბობდა: ენციკლოპედიური ლექსიკონი სრულიად საჭირო არ არისო. ნეტა რაზედ ამყარებდა ამ მოსაზრებას? იქნება იმიტომ სთქვა რომ ჩემი ლექსიკონი გამოიწერეთო?—რასაკვირველია კონკურენტი ყოველთვის მოპირდაპირეს წინააღმდეგ მოქმედობს, იმ მოსაზრებით, რომ თავის საქონელს მეტი ბაზარი მოუპოვოს, სხვისა აბუჩად აიგდოს.

თუ რამდენად სარგებლობის მომტანია ენც. ლექ., ამას „ივერიის" 91 № რიც ხსნის; იმავე „ივერიის" სიტყვით: დიდს სამსახურს გაუწევს ქართველს საზოგადოებას ენციკლოპედიური ლექსიკონი, ხოლო კარგი იქნებაო, რომ ლექსიკონის შედგენა-გამოცემაში სხვანიც დაიხმაროსო. ამ აზრისაა პატივცემული ივ. როსტომაშვილიც: მოვიშვილიებთ, არა ერთხელ უთქვამთ მკოდნეთ, მოვიწვევთ ყველა ხელობის წარმომადგენლებსაც, რომ ზოგიერთი სიტყვები მათის დახმარებით, უფრო განმარტებით შევიტანოთ ჩვენს გამოცემაშიო. ამასთანავე „ბოლოში დამატებული ექნება თვით ქართულ-რუსული ლექსიკონიც"-ო და ნუ თუ ამის წინააღმდეგ ეთქმის კიდევ რამე კაცსა? ნუ თუ ამგვარი გამოცემა სამსახურს არ გაუწევს ქართველ საზოგადოებას? ლექსიკონში იქნება ყოველის სიტყვის განმარტება, რომელიმე საგნების (?) მნიშვნელობის ახსნა, უმთავრეს შემთხვევათა აღწერა, გეოგრაფიულნი, ისტორიულნი ცნობანი და სხ... ერთის სიტყვით, ეს ლექსიკონი მკითხველს აძლევს ცოდნას ყოველს საგნებზე. თუ ვიტყვით, შედარებით ბ. შიო დავითაშვილის (ჯერ არ ნახული, არ არსებული) ლექსიკონი „უფრო საჭირო არ არის", რადგანაც მის მიერ შედგენილი რუსულ-ქართულ ლექსიკონის მზგავსი პატივცემულ ივ. როსტომაშვილის ლექსიკონშიაც შედის...

საჭირო არ არისო რომ ვსთქვით ბ. შიოს სიტყვებით, თორემ არაფერი მოგვეპარებია-რა!..

ეჰ, მახლას, ბრძოლა არსებობისთვის გაგვიგონია და ამისთანა-კი არა!.. მის მაგიერ, რომ ხელი მოვუმართოთ, გულს ვუტეხავთ უსაფუძვლო შენიშვნებით და ვაფერხებთ საქმის წარმართვას... როდესაც კაცს სხვის მანათიანი არ მოსწონს, თვითონ აბაზიანი მაინც უნდა უჩვენოს, თორემ უსაფუძვლოთ სხვის შრომის გაკიცხვა რა საკადრისია?!.

პატივცემულს მოღვაწეს უკვე ხელის მოწერა აქვს დაწყებული; სანიმუშოდ ცალკე ფურცელიც გამოსცა, რომელიც გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ პირნათლად შეასრულებს თავის დაპირებას. მაშ რაღათ დასჭირდა ბ. შიო დავითაშვილს „საჭირო არ არის"-ის თქმა? ხომ იცის, რომ ორი-სამი ლექსიკონის გამოცემის დაწყება ხელ-მოწერით უფრო საძნელო იქნება, რადგანაც ძალები ნაწილდება. მკითხველს ერთიც უნდა, მეორეც, მესამეც მაგრამ ვერც ერთსაც ვერ იწერს...

—

არა ნაკლებ საჭიროებას შეადგენს უცხო ენა-სიტყვების «ჯიბის ლექსიკონის» გამოცემა. თან-და-თან შემოდის ჩვენს ლიტერატურაში უცხო ტერმინები და მათი განუმარტველობა აფერხებს რომელსამე საგანზე დაწერილის გაგებას. აი, ეს უცხო ენათა სიტყვების „ჯიბის ლექსიკონი", რომ შეადგენდეს ვინმე ან ითარგმნოს ქართულს ენაზე, დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენ მოზარდ თაობას. *)

ი. იმ—დ—ი.

(საკუთარის კორესპოდენტისაგან).

ქ. სიღნაღი. 19 მაისს ოლქის სასამართლო გაარჩევს დიდს და ფრიად საინტერესო საქმეს მამულის დავაზედ აზ. ნასიძეებისა და ნაცვლიშვილებისას ხაზინასთან. ეს საქმე მით უფრო არის საყურადღებო, რომ რა განაჩენსაც სამსჯავრო ამათ გამოუტანს, მასვე მიუსაჯავს შემდეგში მთლად ქიზიყის აზნაურობას, რომელთა მამულის მფლობელობა სრულიად ისეთივეა, როგორც ნასიძეებისა და ნაცვლიშვილებისა.

⁂ **ახალ-სენაკი. ბოქაულის ბესარიონ დავ. ქავთარაძის ჭრილობის გამო.** გაზ. „ცნობის ფურცლის" მე-194 №-ში ჩემი წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც შეცდომით მოგვივიდა, ვითომც ბ-ნ ბესარიონ ქავთარაძეს მარცხენა ხელი ჰქონოდა დაშავებული. „მარცხენა" ხელი-კი არა მარჯვენაა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ქუთაისში მთლად მოსჭრეს, რადგანაც ტყვიას ისე დაემტვრია ხელის ძვლები, რომ შეუძლებელი აღმოჩენილა იმის მოუჭრელად მორჩენა ს. ბ. თოფურიას სამკურნალოში მიიყვანეს ჩვენი მხცოვანი და მამაცი ბესარ. დ. ქავთარაძე და თითონ ეთქვა: „თუ მოუჭრელად ვერ მოვრჩები, მომჭერითო''. მოსჭრეს მთელი მკლავი ბ-ნ ბეს. ქავთარაძეს, ამ გვარად დასახიჩრება ამ ჩვენის საყვარელ მამაცისამ, დიდად და მეტის-მეტად შეაწუხა ყველა ისინი, ვინც-კი იცნობდა ამ ჩვენს სიმპატიას. დიდი ხანია, რაც ბ-ნ ბეს. ქავთარაძე ამ თანამდებობაზედ არის და ერთხელ თავის თანამდებობისთვის არ უმტყუნია. იგი მუდამ წინ შეჰგებებია გახურებულს ტყვიას, არასოდეს არ დაწეულა უკან, ოღონდ-კი თვისის მოქმედებით ხსნა და შველა მისცემოდა თავის მოძმეს, რომლებთათვის მუდამ მზა და ღია გული ჰქონდა. ამბობენ, სიკვდილით არა უჭირს-რა, ბ-ნს ბესარიონ ქავთარაძესო, არც თ. ლ. მ—ძესო...

— **მოწყენილობა ახალ-სენაკში.** ამ ჟამად ჩვენს ახალ-სენაკს სძინავს. სძინავს და ხვრინავს! არც წარმოდგენები და არც ერთი და არც მეორე. ღმერთმა დალოცოს კიდევ ბაყაყები. ქალაქის განაპირას გადის ერთი პატარა ღელე, რომელშიაც ყოველ საღამოს გვესმის ბაყაყების კონცერტი. ეს ღელე რომ არ ყოფილიყო, მთლად მოკლებული ვიქმნებოდით ამ უკანასკნელ სიამოვნებასაც. იქნება, მკითხველნო, იფიქროთ ბაყაყების კონცერტი რაღა სახსენებელიაო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ: ,,სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოს''-ო. ჩვენც ამით ვსტკბებით, რადგანაც საქმის მოთავე აქეთ სანთლით საძებარია. თორემ, ნუ თუ წარმოდგენის გამართვა დიდი საქმეა, სადაც მოთამაშეები ღვთით ბლომად მოგვეპოვება?..

— **მატარებლების მიმოსვლა.** მატარებლების მიმოსვლა შეიცვალა 6 ამ თვიდან. ეხლამდი შეგვეძლო ტფილისში დღისის და ღამის მატარებლით გვევლო. ახალი განკარგულებით კი ერთხელ. სწორედ დიდს შეწუხებაშია ამის გამო არამც თუ ახალ-სენაკი არამედ მთელი სამეგრელო და მასთან ფოთიც. ძველის განკარგულებით ყოველს ჟურნალ-გაზეთებს ტფილისიდგან საღამოს რვა საათზედ მივიღებდით. ხოლო ახალი განკარგულებით-კი მეორე დღეს. დიდად სასურველია, რკინის გზის მთავრობამ რაიმე ღონე იღონოს ამ საგანზე და ძველი განკარგულების მიხედვით ატაროს მატარებლები. როგორც ხმა დადის, ფოთის საზოგადოებას თხოვნა გაუგზავნია, სადაც ჯერ არს, რათა მთავრობამ ძველი წეს-რიგით ატაროს მატარებლები. რა თქმა უნდა მთავრობა შეიწყნარებს ამ თხოვნას რადგანაც აქეთ დიდი მოძრაობაა ხალხისა...

ტელეფონი.

⁂ **ს. დი. ყარაკლისი.** (გუმბრის მაზ.) **ახალი მოძრაობა რკინის გზის.** მაისის 3-ს მობრძანდა აქ ბ-ნი ყარსის რ. გ. გამგე ინჟინერი ვ. დ. ვურცელი. მათ მიეგებნენ თავიანთი განყოფილების მიჯნაზედ ბ. მესამე განყოფილების უფროსი ინჟ. ს. ი. იავშიჩი და მისი თანაშემწე ბ. პ. პუზანოვი, რომლებმაც დაათვალიერეს რკინის გზის ლიანდაგი. ბ. ვურცელს ყოველისფრივ მოეწონა მოძრაობა და მუშაობა რკინის გზისა, მაგრამ მოიჯარადრეებს მაინც ფიცხელი განკარგულება დაუტოვა მუშაობის დაჩქარების თაობაზედ.

ეხლა, როგორც შევიტყეთ, ბ-ნს ვურცელს მოიჯარადრეებისთვის მიუცია ვადა 15 სექტემბერი, რომ სამუშევერი სრულიად იქმნას დასრულებული გარდა სადგურებისა. მოიჯარადრეები დასთანხმდნენ, რომ 15 სექტემბერს ლიანდაგის დაგება არ შეაჩერონ, მესამე ყ. რ. გზისა იწყება მე 117 ვერ. და თავდება მე 175 ვერსზედ, მათ შორის 7 გვირაბია სხვა და სხვა ზომისა 1-ლი და 2 გვირაბი მდებარეობს მე 118 ვერ. 3 მე 123 ვერ. სიგრ. 18 საჟ. 4. მე 131 ვერ. სიგრ. 22 საჟ. 5. მე 133 ვერსზედ სიგრ. 46 საჟ. 6. მე 136 ვერს. სიგ. 50 55 საჟ. 7. მე 163 ვერს. სიგრ. 2845 საჟ. რომელთა მუშაობა ჯერ სულ დამთავრებული არ არის.

ამ ჟამად მესამე განყოფილებაში მუშაობს არა ნაკლებ 18,000 მუშა კაცი სხვა და სხვა რჯულისა.

მესამე განყოფ. უფრ. ბ. იავშიჩისგან და ვექილოვისგან. 5 მაისს ფიცხელი განკარგულება იყო მოხდენილი სისუფთავეს თაობაზედ მოიჯარადრეებთა, შორის, რათა მუშებმა სუფთად იქონიონ თავიანთი ბანაკები, რადგანაც ამ ჟამად დიდი ავადმყოფობა მძვინვარებს მუშებთა შორის: ზოგი ხდება ავად ტიფით, ზოგი სიცხისაგან, და ზოგი სულ ჰკუიდან შეშლილი მიყავთ ყარაკლისაში საავადმყოფოში, სადაც ბ-ნი ვექილოვი ჰკურნავს, სუყველანი მადლობელნი არიან ბ. ვექილოვისა.

მან. ჯ—ძე.

⁂ **დ. ყვირილა. აქაური ამბები.** ეს ექვსი თვე იქნება, რაც აქ გადმოიყვანეს სოფ. ხარაგაულიდგან ახალი ბოქაული, მოსვლისათანავე ბ-ნმა ბოქაულმა მოიტანა ახალი წესები. პირველად მან მიაქცია ყურადღება ბაზრის გასუფთავების საქმეს და ჯეროვანადაც შეასრულა თავისი საწადელი, მთელ ბაზარში ყველა დუქნების წინ გააკეთეს წყლის წასასვლელი არხი და იმის შემწეობით დუქნების წინ ტალახი აღარ დგება. აგრეთვე გაასუფთავეს საზოგადო გზა, რომელზედაც დააყარეს სოფლიდგან გამოწვეულმა გლეხებმა რიყე. ტალახი ეხლა გზაში თუმცა სრულებით აღარ დგება, მაგრამ სიარულოთ-კი ძალიან ძნელია და ბევრი ნატრულობს ძველ ტალახიან გზას. აგრეთვე დაიქირავეს ნაგვის გამწმენდლები ბაზრის ხარჯით. ამაზე უკმაყოფილო გახდნენ ზოგიერთი ვაჭრები და რადგანაც, როგორც მდიდრებმა, მეტი გავლენა იქონიეს ყველაზე და ეს პირობა შესცვალეს და ეხლა დიდსა და პატარას, მდიდარსა და ღარიბს ერთნაირად ახდევინებენ ყველას გადასახადს.

ლგაზდები. საუბედუროდ, ცნობების უქონლობის გამო ნამდვილ რიცხვებს ვერ მოვიყვან ახლა, მაგრამ მგონი, ანადეულადაც რომ ვიანგარიშო, სიმართლეს დიდად არ ავსცდები. ყველა უნივერსიტეტებში მყოფთ ქართველების 50% შეადგენენ ექიმები; 15%—იურისტები: 10%—მათემატიკოსები; 5%—ფილოლოგები და 10% სხვა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში ქართველი მოსწავლეები. ამ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ჩვენი ახალგაზდობა უფრო ეტრფის და ეწაფება ექიმობას. მიზეზნი ამისა უნდა იყოს, ჩვენის ფიქრით; ზოგი ზემო მოყვანილნი მოსაზრებანი, ზოგი ისიც, რომ, როდესაც ახალგაზდა ქართველი აპირებს საექიმო ფაკულტეტზედ შესვლას ფიქრობს, რომ ექიმობა უფრო საჭიროა ჩვენის ხალხისთვისო. ხან შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ ამ ფაკულტეტზედ ადამიანი ეცნობება ბუნებას: ტყობილობს, თუ რა ყოფილა, რა არის და რა იქმნება. ამის გაგება, რასაკვირველია, ყველასათვის სასურველია და საინტერესოცაა. ამასთან ფიქრობს, რომ ექიმობის შესწავლა მხოლოდ შეიძლება უნივერსიტეტში, რადგან საჭიროა ლაბორატორიები, კაბინეტები, კლინიკები და სხვა; ჰუმანური საგნების შესწავლას უუნივერსიტეტოთ სახლში მეცადინეობითაც-კი მოვახერხებო. მაგრამ რამდენად მართალია ეგ უკანასკნელი აზრი, ამას გაიგებს მსურველი კარეევის წიგნიდგან. რაც შეეხება დროს და ნივთიერ მდგომარეობას, ამ შემთხვევაში სხვა ფაკულტეტებს მიეცემა უპირატესობა საექიმო ფაკულტეტის შედარებით. იქ. კურსის დამთავრებისათვის ოთხი წელი სამყოფია და მასთან სტიპენდიები და შემწეობები იქ უფრო მეტია. რაც შეეხება გონება-გავითარების და ყოველ მხრივი სწავლის მიღებას, ამ შემთხვევაში სხვა ფაკულტეტები თუ წინა, თორემ უკან არ ჩამორჩება საექიმო ფაკულტეტს. ამ კითხვასაც კარგად ხსნის კარეევის წიგნი. თუ საექიმო ფაკულტეტზედ შემსვლელი ფიქრობს რამე სარგებლობის მოტანის თავის ქვეყნისათვის, ან იმ საზოგადოებისათვის, სადაც შეხვდება მუშაობა და სხვა... ნუ თუ სხვა ფაკულტეტები ნამეტურ ჰუმანიურა საგნებსა ჩამორჩება უკან? არა მგონი.

კეთილია, ხორცით უძლურთა რჩენა, მაგრამ კიდევ უკეთესია ხალხის ხელის და გონების სიმართლეზედ ფიქრი. დამათი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაზედ. ნუ თუ გგონიათ ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის უფრო საჭიროა ექიმობა, ვიდრე ჰუმანიური საგნები, როგორც მაგალითად. ფილოლოგია, ისტორია, სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია და სხვა?

ვისურვებ, რომ აწ ჩვენი ახალგაზდობა შედიოდეს უფრო მომეტებით იურიდიულ და ისტორიკოფილოლოგიურ ფაკულტეტებზედ *). ჩვენთვის საჭიროა დღეს იურისტები, ისტორიკოსები და ფილოლოგები. იურისტები და არა „ატუკანტ-ამლოკატები„! იურისტები, აღჭურვილნი იურიდიულის მეცნიერებით და ცოდნით, ფილოლოგები და ისტორიკოსები ვრცლად და კარგად მცოდნენი თავისის საგნისა და არა მარტო დალ-დიპლომებიანი. თქვენც ხედავთ, რომ ესენი ჩვენთვის ძლიერ საჭირონი არიან! ვინ არის პასუხის გამცემი, როცა ვინმე ცუდს ამბობს ჩვენზედ? ვინ არის სოციალური და საზოგადო საქმის გამომრკვევი და ამხსნელი?

ვინ არის „შუხარდობა" გასწიოს, არხიოლოგობა, ისტორიკოსობა, კრიტიკოსობა და სხვა? აი ამათი მცოდნენი და გამკეთებელნი მოუტანენ სარგებლობას თავის სამშობლოს, თუ კი ესურვებათ: საზოგადოთ ამ უკანასკნელ წლეებში რუსეთის მოსწავლე ახალგაზრობასაც ეტყობა დიდი გულ-გრილობა ჰუმანიურის საგნებისა და საზოგადოდ სწავლისადმი. თან და თან კლებულობს ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ შემსვლელთა რიცხვი,—მოვლენა, რომელიც ძნელად აიხსნება იმით, ვითომ მასწავლებლების ადგილები არ იყოს, ან იმ შეღავათით, რომელიც ეძლევათ ცირკულიარის ძალით ისტორიკო ფილოლოგებს.

ბ. კარეევი შენიშნავს, რომ შესაძლებელია, მალე დადგეს ის დრო, როცა ჩვენ ქალები უფრო მეტი გვეყოლება ჰუმანიურის საგნების მცოდნენი, ვიდრე ვაჟკაცებიო; ამის დასამტკიცებლად ის ადარებს „ქალთა უმაღლეს კურსების" და ისტორიკო ფილოლოგიურ ფაკულტეტების მსმენელთა რიცხვებს ერთმეორეს. როგორც ანგარიშიდან სჩანს 1896 წელს მარტო ერთ ზეპირ-სიტყვაობის განყოფილებაზედ მიუციათ თხოვნა 453 ქალს... ვისურვებთ ჩვენი ქალებიც არ ჩამორჩენოდნენ რუსის ქალებს.

გ. ღ--ძე.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა ზოგიერთს მის კერძო დასკვნებს არ ვეთანხმებით.

*) რედაქცია ამ საგანში არ ეთანხმება პატივცემულს ავტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე დიდ უხერხულად სჩანს ყველა მოხელედგან ფულის ცალკ ცალკე გაწერა და მოზოქვა. ნაგვის მწმენდლები ცალკე აწერენ და აგროვებენ ფულს, ზოგს ძალით ართმევენ და ზოგს სულაც არ ახდევინებენ, იქნება მეტსაც აგროვებენ იმაზე, რაც ერგებათ, მაგრამ იმის წინაამდეგი ვინ არის. განათებს ფულს ცალკე ბოქვენ, ყარაულების ჯამაგირს ცალკე და სხვა. ძალიან კარგს იზამს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ როგორმე დააარსებდეს ბაზრის კასას. მაშინ შეიძლება ერთბაშად მოგროვდეს ყველა მოვაჭრეები და გაიწეროს მათის თან და. სწრებით წლიური გადასახადი; ყველას შეეძლება თავ-თავიანთი გარემოება აღიაროს ხალხის წინაშე, ვისაც არ აქვს შეძლება, კიდევაც აპატიებენ და ასე გაირჩევა ავი კარგისგან და მდიდარი ღარიბისგან. ეს მოკრებილი ფული უნდა ჩაბარდეს საიმედო პირებს და იქიდგან დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნილება.

აგრეთვე დიდი დანაკლისია ყვირილელებისათვის, რომ არ მოეძევებათ არც სასეირნო ბალი, არც სათეატრო სახლი და არც კლუბი; ამდენი ახალგაზდობა ტყუილ უბრალო ხეტიალსა და ბილიარდის თამაშში ატარებს მთელს დღეებს.

აქ ხმა გავრცელდა, რომ სადგურ შორაპნიდგან ჭიათურის პატარა მატარებელი სად. ყვირილაში უნდა ჩამოვიდეს პირ-და-პირო და ჩამოიტანოს შავი ქვაო; ასე რომ შორაპანში რაც წარმოება არის ყვირილაში გადმოაქვთო. ღმერთმა უსმინოსთ ამის მლაღადებელთ, თუ ეს ხმები გამართლდა, ცოტა მაინც ეშველებათ აქაურ ქესატობისგან გულდამწვარ ვაჭრებს.

ურჩი.

⁂ **დ. ზუგდიდი.** აქაური რამერუმე. წარსულს აპრილს, მახლობლად ზუგდიდისა, ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამას წინედ აქაურის მცხოვრებისთვის, გვარად ბ. მახარაძისთვის, ქურდებს კარგი მეწველი ძროხა მოეპარათ. პატრონი, თურმე, არაფერს იშურებდა, ოღონდ-კი ეპოვნა. ვახშმის დროს ამ მახარაძესთან მისულა ვიღაცა და სახელი დაეძახა. თვითონ მახარაძე გამოსულა სტუმრის მისაპატიჟებლად. ამ დროს ამ „ვიღაცას" უთქვამს: „წამოდი და შენს ძროხას გაჩვენებ, მაგრამ ცოტა ფული მოგინდებაო", მახარაძე დასთანხმებულა და ორივენი შინაურების დაუნახავად წასულან. ამ „ვიღაცას" მახარაძე ტყეში შეუყვანია და თან სხვებიც ყოფილან, როგორც ამბობენ. საწყალი მახარაძე იქვე მოეკლათ ტყეში. მეორე დღეს, ეძებეს მახარაძე და იპოვნეს ლუკმა-ლუკმა აკეპილი. ამ ამბავმა დიდად აალელვა დ. ზუგდიდი და ახლო-მახლო მცხოვრებლები. ამ საზიზღარის ამბის ჩამდენი, როგორც აქაურები ამბობენ, მახარაძეს ლამაზი ცოლის საყვარლები ყოფილან, მაგრამ ჯერ ეს არ არის ნამდვილი გამორკვეული. თუმცა-ღა ამ საქმისა გამო სასტიკი გამოძიება სწარმოებს. ვნახოთ გამოძიება რას აღმოაჩენს...

— ეს მეორე წელიწადია, რაც დ. ზუგდიდში 1 მაისს დღეობა შემოიღეს. შარშან, რადგანაც ეს საქმე ახალი დაწყებული იყო, ხალხი მრავალი არ დასწრებია. ხოლო წელსკი ძალზე მეტი დაესწრო. ნაშუადღევს გაიმართა ბურთაობა, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა. სამეგრელოს დაბა-სოფლებიდან მრავალი ქალი და კაცი იყო აქ მოსული სეირის სანახავად, თუ, რომელი „პარტია" აჯობებდა ბურთაობაში. შემდეგში ამ საქმეს სულ სხვა ხასიათი მიეცემაო, ამბობენ აქაურები. ვნახოთ, რა იქნება შემდეგში!.

— არა ერთხელ წაგვიკითხავს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში ზუგდიდელის კორესპონდენტების საჩივარი: დ. ზუგდიდში ამდენი მცხოვრები არის და ერთი სამკითხველო არა გვაქვსო. დიახ, ეს სირცხვილია, იმ ზუგდიდლებისათვის, რომლებიც ამ ხალხის ერთად-ერთი განათლების ფარანს გზას ულობავენ. ნუ თუ ზუგდიდში ერთი სამკითხველო ვერ მოიდგამს ფეხს, როდესაც დღეს ჩვენის საქართველოს მიყრუებულ სოფლებშიაც-კი იმართება სამკითხველოები, მაშ, რისთვის იწერენ ზუგდიდლები ჟურნალ-გაზეთებს, თუ არ ჭკუა-გონების გახსნისათვის? ნუ თუ ღარიბს და ხელ-მოკლე კაცს არ მისცემენ შემწეობას, როდესაც ამათ ფულები არა აქვთ, რომ გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები, რადგანაც ერთს გაზეთს ათი და ხუთმეტი ერთად კითხულობენ? იმედია, ამ ნაკლს ჩვენი ზუგდიდლები თავიდან აიცილებენ და ეცდებიან ძმურად და ამხანაგურად სამკითხველოს დაარსებას, რაც სწავლულებისათვისაც არ იქნება მეტი ბარგი.

ტელეფონი.

სასამართლოს მატიანე.

მღვდლის გაჩარცვა და მოკვლა. 12 მაისს ქ. სიღნაღში ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ განიხილა ფრიად შემაძრწუნებელის მკვლელობის საქმე. ს. ვეჯინში (სიღნაღის მაზრა) 1895 წ. 6 აპრილს ღამით, მოჰკლეს 70 წლის მოხუცი მღვდელი ქრისტესია ასათიანი. ამაში ბრალი დაედოთ სიღნაღის მაზრის მცხოვრებ გლეხთ: შაქრო სიბაშვილს, ნიკოლოზ ხარათოვს, მოსე ხატიაშვილს, და შაქრო ჩალათაშვილს.

მ. ასათიანს მთელ სოფელში იცნობდნენ, როგორც შეძლებულ კაცს და ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მას სახლში დიდ-ძალი ფული ჰქონდა შენახული.

შეუბრალებელი ავაზაკები თავს დასხმიან საბრალოს ღამით თავს დასხმიან და რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიუციათ გული შუაზედ გაუჭრიათ ხანჯლითდა პირის სახეც დაუმახინჯებიათ. ყველა სკივრები და ყუთები დაუმტვრევიათ და რაც-კი მოიპოვებოდა შიგ ყველაფერი წაუღიათ.

სასამართლოს ბრალ-მდებელი ნ. ა. ტარსაიძე მხოლოდ ხარათოვისა და ჩალათაშვილის დასჯას თხოულობდა, ხოლო ბრალდებულთა მცველი ნაფიცი ვექილის თანაშემწე მ. ა. კლანკი ყველა ბრალდებულთა გამართლებასა სთხოულობდა, რადგან მათგან მათი დანაშაული არაფრით არ არის დამტკიცებულიო.

სასამართლომ ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, გამოიტანა თავის განაჩენი, რომლითაც ყველა ბრალდებულნი გაამართლა.

ბრალ-მდებელი არ დასთანხმდა ამ განჩინებაზე და საკასაციო საჩივარი გადააქვს სამოსამართლო პალატაში ხარათოვისა და ჩალათაშვილის შესახებ.

სამეცნიერო ცნობა

ოთხ-ფეხა იხვი პარიჟის მუზეუმში. პარიჟის მიზეუმში მიიღეს დამახინჯებული ოთხ-ფეხიანი იხვი. ორთავე დამატებითი ფეხები მარჯვენა გვერდზე აქვს იხვს. იგი სდებს კვერცხებს, რომელნიც ძალიან უშნოები არიან და ისეთი თხელი ხეჭუჭი აქვთ, რომ ოდნავ ხელის მიკარებით იმტვრევიან.

⁂

ბავშვების შიშის მიზეზი. ამერიკის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია ცნობები ბავშვების შიშის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, უმეტეს ნაწილად ქუხილია ვაჟებს შიშის მიზეზი; ამის შემდეგი მიზეზი მძრომი ცხოველები, უცხო ხალხი, სიბნელე, ცეცხლის მოდება და სხვ. შიში ბავშვებს 15 წლამდის ეზრდებათ და ამის შემდეგ კი იკლებს; ქალებს-კი 18 წლამდის. პირადი დაკვირვებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქუხილი ერთნაირად არ მოქმედობს ყველა ბავშვზე თითქმის ერთსა და იმავე ოჯახშიაც კი. ერთ ოჯახში წლისა და ნახევრის ყმაწვილი გულ-გრილად უყურებდა ქუხილს, მაშინ როდესაც იმის დას იმავე ხანში ძალიან ეტყობოდა შიში.

ს. დ—ნი.

წვრილი ამბავი

რამოდენი არაყი იხარჯება რუსეთში. როგორც გაზ. „რუს"-ი სწერს, „წარსულს 1896 წელს, მთელს რუსეთში დაულევიათ 428 მილიონი მანათის არაყი. არაყზე დახარჯული ნახევარზედ ცოტა ნაკლები შემოსავლისა მთელის სახელმწიფო ბიუჯეტისა.

—

ლოთების წინააღმდეგ ბრძოლა სილეზიაში. (ავსტრია). ზოგიერთა სოფლებში სასტიკად აკრძალული აქვთ მედუქნეებს მიჰყიდონ რამე მაგარი სასმელი იმ ლოთებს, რომელთა სახელებიც კერძო სიებშია მოთავსებული და ყველა მედუქნეებს აქვთ დარიგებული სახელმძღვანელოდ.

—

ამერიკანელ ქალებს ამ ბოლოს დროს სამაჯურზე ჰკიდიათ პატარა „სასტვენი" ბრელოკები ძვირფასის თვლებით შემკული. ამ სამკაულს ისინი ხმარობენ ველოსიპედით სეირნობის დროს, ანუ როდესაც სურთ მეეტლეს დაუძახონ.

საღამოს დეპეშა

17 მაისი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით მათის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიის გამგე ტანეევი დანიშნულ იქმნა მთავარ გამგედ იმავე კანცელარიისა.

კალუგა. 15 მაისს სიზრანოვიაზანსკის რკინის გზის მალახოვის სადგურზედ დაეჯახნენ ერთმანეთს საქონლის მატარებლები. მოკლულ იქმნა უფროსი კონდუქტორი; სამი ორთქმავალი დაშავდა და რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა.

ოდესსა. პეტერბურგიდამ ჩამოსული უმართებულესის სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორმა სლუჩევსკიმ, სამოსამართლო პალატის და ოლქის სამართლის ბრალმდებლების და სამოსამართლო უწყების სხვა მოხელეთა თანადასწრებით დაათვალიერა ტირასპელის მახლობლად ის ადგილი, სადაც ცოცხლად დაიმარხნენ თავი მწვალებელთა. ჯერ-ჯერობით 25 გვამი იპოვნეს სხვა და სხვა ადგილას დამარხული გლეხის მწვალებელის თოდორე კოვალოვის მიერ.

სტამბოლი. საბერძნეთის გემი „იარტემიზია" განთავისუფლებულ იქმნა ელჩების სურვილის თანხმად.

ლონდონი. „Times" დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდამ, რომ პორტამ უპასუხა ელჩების ნოტასო. თავის პასუხში იგი მორიგების პირობებს არ განიხილავს და აცხადებს, რომ მზადა ვარ ელჩებთან მოლაპარაკება დავიწყო, როგორც-კი ზავის გარეგანი წეს რიგი შესრულებულ იქმნება და თანაც აცხადებს, რომ ზავის ხელ-პირობა ფარსალაში იქმნეს ხელ-მოწერილიო.

რომი. სასამართლოში დაიწყო აჩჩია როტოს საქმის გარჩევა. ბრალდებულმა თავისივე სიტყვაში განაცხადა, რომ წინადვე არა მქონია განზრახული და მოფიქრებული მკვლელობაო, თორემ ყუმბარას ვიხმარებდიო.

ლონდონი. „Morniup Post"-ს კონსტანტინეპოლიდამ ატყობინებენ, რომ ნაბრძანებია 30 ბატალიონი სირიიდგან სერბიისა და ბოლგარეთის საზღვრებზე იქმნას გადაყვანილი. ექვსი ტვირთის მზიდველი გემი წავიდა და თან დაბეჭდილი ბრძანებანი წაიღო.

„Times" ატყობინებენ ათინიდგან: საბერძნეთის მთავრობას იმედი აქვს სამხედრო სასყიდლის გარდასახდელად მოახერხებს სესხის აღებას საბერძნეთ გარეშე, თუ ეს სესხი უზრუნველ ჰყო სამმა დიდმა სახელმწიფომ—რუსეთმა, საფრანგეთმე და ინგლისმა.

ლონდონი. ირლანდიის საპარლამენტო დასმა შეიწყნარა განაჩენი, რომელშიაც ჩამოთვლილია უკმაყოფილება ირლანდიელთა და დაადგინა, რომ დედოფლის იუბილეის დღესასწაულში მონაწილეობას ნუ მივიღებთო.

სოფია. მთავარი დაბრუნდა თავის მეუღლით და პრინცესსა კლემენტინათი.

განცხადებანი

ტფილისისა და ყარსის რკინის გზის სამუშაოთა მმართველობა ამით აცხადებს, რომ 1-ლ თიბათვეს ამა წლისას, დილის 12 საათზე, მისს სადგურში, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, რტიშჩევის ქუჩაზე, № 26, დანიშნულია ვაჭრობა: იჯარით გაიცემა მოზიდვა კირისა (ПУШОНka), რომელიც საჭიროა ამ გზისთვის, 500,000—600,000 ფუთამდე.

კირი უნდა მოტანილ იქმნას შემდეგს სადგურებში:

I ნაწილისა: ნავთლუღში—მე-7 ვერსი, სადახლოში—მე-62 ვერსი—50,000 ფუთი კირი.

II ნაწილისა: ახტალაში მე-86 ვერსი, სანაინში მე-104 ვერსი, ყალაგერანში მე-119 ვერსი—113,500 ფუთი.

III ნაწილისა: შაგალიში, ყარაქლისში, ამამლიში, ახბულაღში ანუ ჯადასურში—110,000 ფუთი.

IV ნაწილისა. ალექსანდრეპოლში —110,000 ფუთი.

V „ ყარსში—160,000 ფუთი.

კირი შეიძლება ჩაჰბარდეს ადგილზე არა ნაკლებ 50,000 ფუთისა ერთხელად. კირის მოტანა იჯარადარმა უნდა დაიწყოს იმ დღიდგანვე, როცა პირობის წერილი დაიწერება და უნდა გათავდეს არა უგვიანეს 1897 წ. 1-ლ სექტემბრისა.

წინადადებანი ფასების გამოცხადებით და ღერბის მარკის დაკვრით უნდა წარიდგინოს სამუშაოთა მმართველობაში დალუქულ პაკეტით ზემოდ აღნიშნულ ვადამდე. განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს მსურველმა კირის ნიმუშიც.

იმ პირმა, რომელსაც იჯარა დაჰრჩება, უნდა შემოიტანოს პირველადვე 5 პროცენტი გირაოსი. გირაო შემდეგ შეივსება იმ წესით, რომ ყოველს ფულის მიცემაზე იჯარადარს დაუჭერენ 10% მისაღებ ფულისას, ვიდრე სრული გირაო შეთავდებოდეს.

დაწვრილებითი პირობები მსურველს შეუძლიან შეიტყოს въ хозяйственномъ отдѣлѣ управленія работъ დილის 9 საათიდგან 12-მდე ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა. (3—3)

Учебникъ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ,
сост. М. Насидзе.
Цѣна 50 к.
Продается въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ и въ кн. магаз. „Общества распостр. грам.".
(10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამх. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.